# ძვირფასო საბურთალოელებო!

წლების განმავლობაში თქვენი გულწრფელი მხარდაჭერით შეგულიანებულმა, გადავწყვიტე, გავხდე იმ უბნის წარმომადგენელი ქალაქის საკრებულოში, სადაც გავიზარდე და ახლა ჩემი შვილები იზრდებიან.
თქვენი თანადგომა მაძლევს ძალას, კენჭი ვიყარო დამოუკიდებელ კანდიდატად,
და ვიყო არა რომელიმე პარტიაზე, არამედ მხოლოდ თითეულ თქვენგანზე დამოკიდებული დეპუტატი.
უკვე წლებია ვცდილობ შევასმინო ხელისუფლებას, მოაგვაროს ესა თუ ის პრობლემა. ახლა კი უკვე მე თვითონ ვიღებ პასუხისმგებლობას მოვხვდე იქ, სადაც ჩვენი საერთო სირთულეების გადაჭრაა შესაძლებელი.

# ჩემო მეგობრებო!

ვიცი, ყველას გვსურს, თბილისელ პედაგოგებს და პენსიონერებს უფრო ღირსეული ცხოვრება ჰქონდეთ:
ვიცი, ყველას გვსურს თბილისი იყოს თანამედროვე, და ამავე დროს მწვანე და მოწესრიგებული ქალაქ:
ხალხი ელოდება ცვლილებას, პარტიებს შორის პოლიტიკური ბრძოლის ნაცვლად.
სწორედ ამიტომ, დროა, ერთად ვიბრძოლოთ უკეთესი თბილისისთვის!
დროა ერთად ვიმოქმედოთ ხალხისთვის!

პატივისცემით,
საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატობის
დამოუკიდებელი კანდიდატი
ალეკო ელისაშვილი

www.facebook.com/AlexanderElisashvili

დამკვეთი: ააიპ მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატ ალექსანდრე ელისაშვილის ფონდის იურიდიული მისამართი: ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 8ა, ბინა 10
შემსრულებელი: შპს "ეიდიესეს პრინტი", ს/კ 205258709; მის: ქ.თბილისი, წყნეთის გზატკეცილი 16/18
თარიღი 30.05.2014; ტირაჟი 15 000ცალი

## 20 ლარიანი საპენსიო დანამატი თბილისელ პენსიონერებს

## 50 ლარიანი დანამატი თბილისელ პედაგოგებს

## ქაოტური მშენებლობების შეწყვეტა

## მწვანე ქალაქი

## მოსახერხებელი და ხელმისაწვდომი პარკინგი

n 12/899 PX 4634/1

## ბიოგრაფია

1978 წელს 17 იანვარს დავიბადე თბილისში
1994 წელს დავამთავრე პირველი ექსპერიმენტალური სკოლა.
1999 წელს დავამთავრე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, პოლიტოლოგიის სპეციალობით
1996 წლიდან ვარ ჟურნალისტი. ვმუშაობდი გაზეთებში, რადიოებში, ტელევიზიაში: მეცხრე არხი, პირველი არხი, მაესტრო და კავკასია.
2006 წლიდან ვარ თბილისზე მზრუნველთა გაერთიანება "ტიფლისის ჰამქარი"-ს თავჯდომარე.
2014 წლის ნოემბრიდან მაისამდე-შეწყალების კომისიის თავჯდომარე.
მყავს მეუღლე-ირინა კილოსანიძე, და ორი შვილი-ერეკლე და სანდრო ელისაშვილები.

## ვიმოქმედოთ ხალხისთვის!

ეროვნული ბიბლიოთეკა



42

# ალეკო ელისაშვილი

საბურთალოს დამოუკიდებელი კანდიდატი თბილისის საკრებულოში




# მე გაძლევთ პირობას:

## საპენსიო დანამატი თბილისელ პენსიონერებს

მგონი, სადავო არ არის რომ პენსიონერს თბილისში ცხოვრება გაცილებით ძვირი უჯდება,ვიდრე სხვა რეგიონში. ვფიქრობ, სრულიად სამართლიანი იქნება, თბილისელ პენსიონერებს დედაქალაქის ბიუჯეტიდან დაენიშნოთ ყოველთვიური დანამატი. ამიტომ გპირდებით, რომ უახლოეს მომავალში საკრებულოში დავსვამ საკითხს თბილისში მცხოვრები პენსიონერებისთვის ყოველთვიური 20 ლარიანი საპენსიო დანამატის დანიშვნაზე. ეს პროექტი მოითხოვს თბილისის ბიუჯეტის 6.4%-ს და ჩვენ უკვე იდენტიფიცირებული გვაქვს დამატებითი შემოსავლის წყაროები, საიდანაც ეს ინიციატივა დაფინანსდება.

## 50 ლარიანი დანამატი თბილისელ პედაგოგებს

ჩვენი შვილების ღირსეულ და განათლებულ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში ოჯახის შემდეგ უმთავრეს როლს პედაგოგები ასრულებენ, ამიტომ საზოგადოების ვალია, განსაკუთრებით იზრუნოს ამ ადამიანებზე.
მე გპირდებით, რომ საკრებულოში არჩევისთანავე დავსვავ საკითხს თბილისის საჯარო სკოლის პედაგოგებისათვისყოველთვიური 50 ლარიანი დანამატის დანიშვნის თაობაზე. ეს თანხა ჯამში, თბილისის ბიუჯეტის 0.8 %-ს შეადგენს და მისი გამოძებნა სავსებით შესაძლებელია უსარგებლო ხარჯების შეკვეცის გზით.

## ქაოტური მშენებლობების შეწყვეტა

ბოლო 20 წლის განმავლობაში მიმდინარე გაუაზრებელი მშენებლობების შედეგად, თბილისელებს ყოველდღიურად სულ უფრო ნაკლები საარსებო სივრცე რჩებათ. ქალაქის განაშენიანება მხოლოდ თბილისის განვითარების კვალიფიციური გეგმის მიხედვით უნდა განხორციელდეს. მე გპირდებით – საკრებულოში არჩევისთანავე დავსვავ საკითხს, რომ საბურთალოზე ახალი კორპუსების მშენებლობაზე ნებართვების გაცემა მხოლოდ ქალაქის განვითარების ახალი გეგმის დამტკიცების შედეგად განახლდეს.

## მწვანე ქალაქი

თბილისი თანდათანობით იცლება მწვანე ნარგავებისგან, რაც ჩვენს და ჩვენი შვილების ჯანმრთელობას დიდ საფრთხეს უქმნის.
მე გპირდებით, რომ საკრებულოში არჩევისთანავე დავსვამ საკითხს, რომ საბურთალოს მწვანე ზონები (იპოდრომი, ასათიანის ქუჩის პარკი, ინფექციური საავადმყოფო) ისევ მწვანე ზონებად დარჩეს.

## მოსახერხებელი და ხელმისაწვდომი პარკინგი

ქალაქისთვის განსაკუთრებულ პრობლემად რჩება პარკირება. მერიის მიერ შერჩეული “სითი-პარკი” არა მხოლოდ უძლურია, მოაგვაროს ეს პრობლემა, არამედ დამატებით და უსამართლო ტვირთად აწვება ქალაქის ავტომფლობელებს. თბილისში უნდა მოწესრიგდეს ტრანსპორტის მოძრაობა და უსაფრთხოების სისტემა.

მე გპირდებით, რომ საკრებულოში არჩევის შემთხვევაში, დავაყენებ საკითხს–სასწრაფოდ გაუქმდეს “სითი-პარკთან” დადებული ხელშეკრულება, აშენდეს ახალი, კეთილმოწყობილი ავტოსადგომები, და ამ პროექტის რეალიზაციამდე განახევრდეს პარკირების ჯარიმები.

## ჩემო მეგობრებო!

საბურთალოს რაიონის ჩვენს საარჩევნო ოლქში სულ 40 000 ამომრჩეველია. ნებისმიერი თქვენთაგანის ერთმა ხმამ შეიძლება გადაწყვიტოს ამ არჩევნების ბედი, და შესაბამისად იმ ქალქის ბედი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, რომ მიხვიდეთ არჩევნებზე და აირჩიოთ თქვენთვის სასურველი ნებისმიერი კანდიდატი!

## ჩვენი საარჩევნო უბნები

ყაზბეგის გამზირი ვაჟა-ფშაველას გამზირი (დელისამდე) საირმე ბურძგლას ქუჩა მიცკევიჩის ქუჩა გამრეკელის ქუჩა ზაქარიაძის ქუჩა ასათიანის ქუჩა კანდელაკის ქუჩა ტაშკენტის ქუჩა გოთუას ქუჩა ბუდაპეშტის ქუჩა ვეძისის დასახლება ნუცუბიძის ქუჩა (დელისამდე) შევარდნაძე ქუჩა ცაგარელის ქუჩა მეგრელიძის ქუჩა საბურთალოს ქუჩა (კენტი რიცხვები, იპოდრომამდე)